სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი 05.12.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ გამსახურდია - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი, სხდომის მდივანი;
ლაშა გოცირიძე - ა(ა)იპ - ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ფოფხაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელი:
დავით აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი:**

სოფიო სუხიშვილი - რექტორი;
ვალერი სუხიშვილი - დამფუძნებელი;
ლევან მოსახლიშვილი - რექტორის მოადგილე;
ივანე ბალახაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:41 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგორ ტატიშვილმა. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესასრულება დაეკისრა თამარ გამსახურდიას.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^5-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26^7-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ავტორიზაციის დებულების 26^6-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით აფრასიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ საბჭო მისცემდა საშუალებას დაწესებულებას წარმოედგინა საკუთარი პოზიცია, რათა სრულფასოვნად განეხილათ მოცემული საკითხი. შესაბამისად, მან სიტყვა გადასცა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

სოფიო სუხიშვილმა, დაწესებულების რექტორმა, განაცხადა რომ ის მოკლედ შეაჯამებდა სიტუაციას, ხოლო უფრო ფართოდ კი მისი კოლეგები ისაუბრებდნენ საბჭოს წინაშე. მისი აზრით, საავტორიზაციო საბჭომ არ დააფუძნა საკუთარი გადაწყვეტილება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც წერილობითი ფორმით ასევე ზეპირი ფორმითაც სხდომის განმავლობაში. ასევე მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ექსპერტთა დასკვნა იყო არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური, რომელიც არ შეიცავდა არცერთ კონკრეტულ მაგალითს. ექსპერტებმა ასევე ვერ უზრუნველყვეს საკუთარი პოზიციის გამყარება კონკრეტული მაგალითებით საავტორიზაციო საბჭოს სხდომის დროს, განსაკუთრებით იმ სტანდარტებთან მიმართებით, რომლებიც შეუსაბამოდ არის შეფასებული. სოფიოს განცხადებით, მათ ჰქონდათ შესაბამისი არგუმენტაცია და მტკიცებულებები, რომელთა გათვალისწინება არ მოხდა გადაწყვეტილების მიღების დროს. მათთვის ასევე ბუნდოვანი იყო თუ რატომ გაუმჯობესდა ზოგიერთი ქვესტანდარტი, შესაბამისად დაწესებულება მიიჩნევდა, რომ საავტორიზაციო საბჭოს გადაწყვეტილება იყო არაობიექტური. რექტორმა სოფიო სუხიშვილმა დაამატა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით საკმაოდ იზარალა დაწესებულებამ, მათ შორის სტუდენტებმაც და თანამშრომლებმაც. ასევე, ყურადსაღებია, რომ ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი იყო რეგიონული დაწესებულება და მისი არსებობა მნიშვნელოვანი იყო გორის მუნიციპალიტეტისთვის. სოფიო სუხიშვილის თქმით ეს იყო წარმატებული კერძო ბიზნესი, რომელსაც ეკონომიკური მოგება მოჰქონდა რეგიონისთვის. დაწესებულების დახურვის გადაწყვეტილებით დაახლოებით 70-მდე ადამიანი დარჩა დაუსაქმებელი.

საუბარი განაგრძო ლევან მოსახლიშვილმა, შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა, რომელმაც განმარტა რომ დაწესებულება არ იზიარებდა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების, როგორც ფორმალურ და ასევე მატერიალურ სახეს, რადგან ავტორიზაციის საბჭო იყო კოლეგიალური ორგანო და მათი გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა ავტორიზაციის სტანდარტები,

რომლებსაც გააჩნია შეფასების კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმებით არ მომხდარა თითოეული სტანდარტისა და ქვესტანდარტის დასაბუთება საბჭოს მიერ, ხოლო ის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი საჭიროებს დასაბუთებას, ამ უკანასკნელის არარსებობა კი აქტის გაუქმების საფუძველიც კი შეიძლება გამხდარიყო. ლევან მოსახლიშვილის განცხადებით ასევე საეჭვო იყო საბჭოს კენჭისყრაც, რადგან ოქმის მიხედვით სხდომას ესწრებოდა 22 წევრი, ხოლო კენჭისყრაში მონაწილეობდა 21 ადამიანი. იმ გარემოების გათვალისწინებით რომ საბჭოს წევრს არ ჰქონდა ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლება, ბუნდოვანი იყო დამდგარი შედეგი.

დაწესებულების პრორექტორმა ყურადღება გაამახვილა მართველ ორგანოებზე, რომელზეც ექსპერტები რეფერირებდნენ, როგორც არასამართლიანს და გაუმჭვირვალეს, რაც ასევე გაზიარებული იქნა ავტორიზაციის საბჭოს მიერ. მან კიდევ ერთხელ გააჟღერა, რომ საქმე ეხებოდა კერძო სამართლის იურიდიულ პირს, სადაც არსებული მმართველი ორგანოები სრულიად შესაბამისობაში იყო კანონთან, ხოლო სამართლიანობასა და გამჭვირვალეობასთან დაკავშირებით, ეს სახეზე იყო იმ მოცემულობით, რასაც ითვალისწინებდა კანონი.

საუბარი განაგრძო ივანე ბალახაშვილმა, შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მან განაცხადა რომ ავტორიზაციის საბჭომ აწია შეფასება 4.1 სტანდარტის მიმართებით, რის საფუძველზეც სტანდარტთან შეუსაბამობა შეიცვალა ნაწილობრივი შესაბამისობით. ამასთან მიმართებით, მან აღნიშნა რომ მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით საბჭომ ბუნდოვნად მიიჩნია პერსონალის დატვირთვის 90/10% სქემა და ეს დასაბუთებაშიც მოიშველია. ამ განცხადების საპასუხოდ დავით აფრასიძემ, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ხაზი გაუსვა რომ თვითონვე დაწესებულების წარმომადგენლები ადასტურებდნენ რომ საბჭოს გააჩნდა დასაბუთება, რაც ასევე ფიქსირდებოდა ოქმშიც. რაზეც ივანე ბალახაშვილი დაეთანხმა და განაცხადა რომ მათი აზრით ზოგიერთ შემთხვევაში დასაბუთება არსებობდა, თუმცა სტანდარტების გრაფაში არსებული კრიტერიუმები არ იყო ჩამოთვლილი. მან დამატებით განმარტა რომ პერსონალის დატვირთვის 90/10% სქემა დარეგულირებული იყო დაწესებულების მხრიდან, პერსონალის კონტრაქტი შეიცავდა სამუშაო აღწერილობებს და დარჩენილი 10% შეიძლება ყოფილიყო ხელმძღვანელის თემატური და შინაარსობრივი დავალება, რომელიც შეესაბამებოდა სამუშაო აღწერილობას. შესაბამისად, მათთვის გაუგებარი იყო, რატომ შეფასდა აღნიშნული საკითხი უარყოფით ჭრილში.

ივანე ბალახაშვილმა ასევე გამოყო სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა საკითხი და აღნიშნა, რომ ეს იყო ზოგადი პრობლემა ქვეყანაში, რომელიც არ უნდა გამხდარიყო სტანდარტის მეტწილად შესაბამისობის საფუძველი. დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო მე-7 სტანდარტის მე-2 ქვესტანდარტს, რომლის გაუმჯობესება მოხდა ავტორიზაციის საბჭოს მიერ. მათი აზრით გაუგებარი იყო, რატომ აიწია ნაწილობრივ შესაბამისობიდან მეტწილად შესაბამისობაში საბიბლიოთეკო რესურსის შეფასებამ. ივანე ბალახაშვილი ასევე შეეხო განათების საკითხს, რაც უარყოფითად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ, მაშინ როცა სტანდარტი არ განსაზღვრავდა განათების კონკრეტულ სიმძლავრეს, მათი ორივე ფილიალი თბილისსა და გორში აღჭურვილი იყო ფანჯრებით და ხელოვნური განათებით.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო აუდიტორიებში განთავსებულ პროექტორებსა და სველ წერტილებს, რომელიც უარყოფით კონტექსტში იყო განხილული. ივანე ბალახაშვილის განმარტებით, ორივე ფილიალი ავტორიზაციის მომლოდინე პირობებში განახლდა და ინვენტარიც შესაბამისად შეიცვალა. დაწესებულების წარმომადგენლებმა თვალსაჩინოებისათვის საბჭოს წარუდგინეს აუდიტორიებისა და ინფრასტრუქტურის ამსახველი სურათები. ივანე ბალახაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მისი კანდიდატურა შეფასებული იყო როგორც არა კვალიფიციური, რადგან ის იყო იურისტი პროფესიით და ფინანსურ კონსულტაციის მიღების გამო მან დაიქირავა აუდიტი.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სააპელაციო საბჭოს შეეძლო შეეფასებინა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კანონიერება და მიზანშეწონილობა, იმ დოკუმენტების გათვალისწინებით, რაც ავტორიზაციის საბჭომდე იქნა შემუშავებული. შესაბამისად მათი უკმაყოფილება და შენიშვნები ექსპერტების მიმართ იყო ირიბი განხილვის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის განმავლობაში, მათ შეექმნათ წარმოდგენა რომ საბჭომ გაიზიარა მათი არგუმენტები და მიღებული გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა მათთვის. რის საპასუხოდ დავით აფრასიძემ განმარტა, რომ სხდომაზე მან პირადად დაუსვა შეკითხვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს - დასკვნაში შეფასებების სიმძიმესთან დაკავშირებით და იმ მოსალოდნელ შედეგზე, რასაც ითვალისწინებდა აღნიშნული შეფასებები, ეს ასევე დაფიქსირებული იყო ოქმშიც.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე ნინო ოკრიბელაშვილი 18:15 საათზე. შესაბამისად, ავტორიზაციის დებულების 26[5] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა ნინო ოკრიბელაშვილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ბალახაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე საკითხი ისეთი ფორმულირებით დააყენა, რომ ამან გამოიწვია ავტორიზაციის საბჭოს წევრების და მოწვეული წევრების შეცდომაში შეიყვანა და ისინი შეიძლება ვერც კი მიხვდნენ, რომ დაწესებულებისთვის ავტორიზაციის არ მინიჭებას უყრიდნენ კენჭს. ამაზე დავით აფრასიძემ რეპლიკის სახით თქვა, რომ ეს განცხადება შეურაცხმყოფელი იყო არა მხოლოდ თავმჯდომარის მიმართ, არამედ საბჭოს ძირითადი და მოწვეული წევრების მიმართაც და იგი ამაზე მოგვიანებით გააკეთებდა განმარტებას.

საუბარი განაგრძო შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა და დამფუძნებელმა ვალერი სუხიშვილმა. დაწესებულების ყოფილი რექტორი გამოეხმაურა ექსპერტების ჩანაწერს რექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს პოზიცია ეკავა მის შვილიშვილს, სოფიო ხუციშვილს, თუმცა მისი კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამებოდა საკანონმდებლო მოთხოვნებს. მისი თქმით დაწესებულება 1995 წლიდან წარმატებულად ფუნქციონირებს, როგორც ერთადერთი კერძო უნივერსიტეტი რეგიონში [გორის რეგიონი]. ასევე სასწავლებლის ორივე ფილიალი გამოირჩეოდა თანამედროვე ინფრასტრუქტურით. მისი თქმით დაწესებულება საგანგებოდ მოემზადა ავტორიზაციის პროცესისთვის, მათ არაოფიციალურად მოიწვიეს ქართველი ექსპერტები და შეაფასებინეს არსებული

მდგომარეობა. მოწვეულმა ექსპერტებმა საკმაოდ დადებითად შეაფასეს დაწესებულება თითოეული სტანდარტისა და ქვესტანდარტის კუთხით, რამაც გავლენა იქონია მათ მოლოდინებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის ხარისხი მაღალი იყო დაწესებულებაში, რაზეც ასევე მეტყველებდა მათი წევრობა ევროპულ რექტორთა საბჭოში, მიღებული აქვთ მრავალი ჯილდო, კურსდამთავრებულთა დასაქმების მხრივ შედიან ხუთეულში. ამასთან, მათი კურსდამთავრებულები აქტიურად იყვნენ დასაქმებული გორში - როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ ყურადსაღები იყო კონფლიქტის ზონის საკითხი, მას თავად მიუძღვოდა წვლილი აგვისტოს ომის დროს რეზერვისტებისა და დევნილების განთავსება/დახმარებაში. ვალერი სუხიშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებამ განიცადა მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი, მათ შორის უმუშევარი დარჩა 148 თანამშრომელი. მისი თქმით, ექსპერტები არ იყვნენ კვალიფიციურები, რადგან ბევრ ისეთ თემებს შეეხნენ - როგორიცაა სანიტარული კვანძები და სხვა ტრივიალური საკითხები. მისი თქმით, ექსპერტების მიერ გამოვლენილი პრობლემები იყო დაძლევადი და შეეძლოთ გამოესწორებინათ დროთა განმავლობაში. მისი თქმით, დაწესებულებას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ საბჭოს წევრებიც არ იცნობდნენ სიღრმისეულად საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს. დავით აფრასიძემ განაცხადა, რომ ის ორ ძირითად საკითხზე გაამახვილებდა დამსწრეთა ყურადღებას. პირველი ეხებოდა დასაბუთებას, რომელსაც დაეფუძნა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ხოლო მეორე კი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და მის გათვალისწინების ფარგლებს.

დავით აფრასიძემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭომ თავისთავად გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, ასევე ხაზი გაუსვა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი განხილული უნდა ყოფილიყო ერთ მთლიანობაში. მისი თქმით, სხდომის ოქმის 24, 25 და 26 გვერდებზე საუბარია საბჭოს გადაწყვეტილებასა და დასაბუთებაზე, რომელიც გამომდინარეობს წინარე განხილვიდან, დაწყებული ოქმის მე-5 გვერდიდან. საკითხები, რომლებთან დაკავშირებით ექსპერტებს დაეთანხმა ავტორიზაციის საბჭომ და ის ნაწილებიც რომლებშიც არ დაეთანხმა, წინმსწრებად იყო განხილული და ამ ყოველივეს მოჰყვა შეჯამება გადაწყვეტილების სახით.

დავით აფრასიძემ დასძინა, რომ ავტორიზაციის საბჭო ნამდვილად იცნობდა საქმის წარმოების დოკუმენტებს, თანაც აქ გასათვალისწინებელი იყო შემდეგი გარემოება, კერძოდ შპს ევრორეგიონული სასწავლებლის სხდომა ჩანიშნული იყო 2018 წლის 17 სექტემბერს, რადგან ავტორიზაციის ვადა გასდიოდა დაწესებულებას, ხოლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე საკითხის განხილვა გადაიდო და საკითხის განხილვა მოხდა 8 ოქტომბრის სხდომაზე. შესაბამისად, საბჭოს მოწვეული და ძირითადი წევრები, ჯერ კიდევ 17 სექტემბრისთვის იყვნენ მომზადებული აღნიშნული საკითხის განსახილველად და შესაბამისად იცნობდნენ საავტორიზაციო დოკუმენტაციას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ასევე კომენტარი გააკეთა სააპელაციო საჩივარში არსებულ ჩანაწერზე, სადაც ნახსენები იყო გარემოება დაწესებულების მხრიდან, რომ სხდომის განმავლობაში მათ არ მიეცათ საშუალება საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. ამასთან დაკავშირებით, დავით აფრასიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა მიმდინარეობდა 3 საათზე მეტი და ოქმშიც იყო ნაჩვენები, თუ როგორ საფუძვლიანად მოხდა საკითხის განხილვა და ის კითხვებიც, რომელიც დასმული იყო საბჭოს წევრების მხრიდან. დაწესებულებას არაერთხელ მიეცა საშუალება დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია და მოეყვანათ შესაბამისი არგუმენტები. დავით აფრასიძე ასევე გამოეხმაურა დაწესებულების წარმომადგენლის კომენტარს საბჭოს წევრების შეცდომაში შეყვანის თაობაზე და აღნიშნა, რომ განხილვაში მონაწილეობას იღებდა 21 ადამიანი, რომელთა შეცდომაში შეყვანა იყო ყოველგვარ ინტერესსა და აზრს მოკლებული. ასევე, საბჭოს წევრებმა არამარტო ხელის აწევით, არამედ ხელმოწერითაც დააფიქსირეს საკუთარი გადაწყვეტილება, რაც თავისთავად პასუხობდა დაწესებულების მხრიდან გაჟღერებულ ბრალდებას შეცდომაში შეყვანის თაობაზე.

დავით აფრასიძემ განაცხადა რომ ჯამში 4 სტანდარტი იყო შეუსაბამო ექსპერტთა დასკვნაში, სხდომა დაიწყო უცხოელი ექსპერტის ჩართვით, რომელმაც საკმაოდ ვრცლად წარმოადგინა ზოგადი მიმოხილვა და შემდგომ მოხდა დეტალურად სტანდარტების განხილვა. ასევე ყურადსაღები იყო გარემოება, რომ საბჭო წარმოდგენილი იყო გაფართოებული შემადგენლობით და არცერთ მათგანს არ გამოუთქვამს განსხვავებული პოზიცია. ხოლო რაც შეეხებოდა საკითხს თუ რატომ დაფიქსირდა ოქმში 22 წევრი, ხოლო ხელმოწერისას 21 ადამიანი, ამაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს შეეძლო დამატებითი და ამომწურავი განმარტების გაკეთება, გამომდინარე იქედან, რომ ცენტრის წარმომადგენლებს შეთავსებული ჰქონდათ საბჭოს ადმინისტრირების ფუნქცია და უზრუნველყოფდნენ ხელმოწერების შეგროვებას.

დავით აფრასიძემ კომენტარი გააკეთა ზოგიერთი ქვესტანდარტის გაუმჯობესებაზეც, მაგალითად მოიყვანა საბიბლიოთეკო რესურსის სტანდარტის აწევა, რადგან საბჭომ ჩათვალა რომ განხილვის საფუძველზე დაწესებულება იმსახურებდა სტანდარტის შეფასების აწევას. მისი თქმით, მსგავსი მიდგომაც იყო მცდელობა საბჭოს მხრიდან დაენახათ დადებითი მხარე და გაიზიარეს დაწესებულების ის პოზიცია, რაშიც დარწმუნდნენ სხდომის განმავლობაში. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება იყო ერთხმად მიღებული და 21-ვე საბჭოს წევრი ერთ აზრზე იყო.

დავით აფრასიძე დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა მოითხოვეს ექსპერტებისგან კონკრეტული მაგალითების მოყვანას, თუმცა ამავდროულად ანალოგიურს ითხოვდნენ დაწესებულების მხრიდანაც. თუმცა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სოლიდური დასაბუთება, რომელიც გააქარწყლებდა ექსპერტთა შეფასებას.

აპელაციის საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს მიმდინარე საბჭოზე გაჟღერებულ არგუმენტაციასთან დაკავშირებით, თუკი მოხდა აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა ავტორიზაციის საბჭოს მიერ. დავით აფრასიძემ საპასუხოდ განაცხადა,

რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დროს ანალოგიური მსჯელობა მიმდინარეობდა იგივე არგუმენტებზე დაყრდნობით.

დავით აფრასიძემ დასძინა, რომ მართალია ხშირად აპელირებდა დაწესებულება სველ წერტილსა და პორტატულ პროექტორებზე, თუმცა მსგავსი საკითხები არ გამხდარა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველი, არამედ განზოგადებული ექსპერტთა დასკვნა. დავით აფრასიძეს ასევე განმარტა, რომ მათ ასევე იმსჯელეს დაწესებულების რეგიონულ ნიშაზე და მის მნიშვნელობაზე გორის მუნიციპალიტეტში, თუმცა ავტორიზაციის საბჭომ ისიც გაითვალისწინა, რომ დაწესებულება საქმიანობს ასევე თბილისშიც. მისი თქმით, ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა დაწესებულების ფოკუსი ამ კუთხით, თუმცა თბილისში მათი მოქმედების არეალი უკვე მიუთითებდა მათ არა რეგიონულ სტატუსზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგორ ტატიშვილმა განმარტა, რომ მისთვის შთამბეჭდავი იყო დაწესებულების წვლილი რეგიონის განვითარებაში, თუმცა საგანმანათლებლო სივრცეში მსგავსი ინიციატივების წახალისება არ უნდა მომხდარიყო სტანდარტებზე უარის თქმით ან მათი უგულვებელყოფით. გრიგორ ტატიშვილმა ასევე დასძინა, რომ მისი აზრით, ექსპერტთა დასკვნა იყო საკმაოდ მოცულობითი და ზოგადი, თუმცა სააპელაციო საბჭოს ფუნქცია გახლდათ შეესწავლათ თუ რამდენად კანონიერი და მიზანშეწონილი იყო ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, ექსპერტთა დასკვნა იყო ცალსახად უარყოფითი და ოქმიდანაც ნათელი იყო, რომ საბჭომ ვრცლად და სრულყოფილად განიხილა საკითხი და მათ შორის შეეცადა გაეუმჯობესებინათ რიგი სტანდარტები. მისი განცხადებით, თუკი სააპელაციო საბჭო დარწმუნდებოდა, რომ საკითხის ხელმეორედ განხილვას ჰქონდა რაიმე აზრი, ამისთვის არსებობდა მზადყოფნა წევრებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მოსახლიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება აპელირებდა დასაბუთებაზე, რადგან ოქმში ჩაწერილი დასაბუთება მათთვის არ იყო საკმარისი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა, ხაზი გაუსვა დაწესებულების მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას და განაცხადა, რომ მსგავსი მიდგომა უნდა ყოფილიყო ჩვეული ნორმა და არა - განსაკუთრებული პრაქტიკა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ თუკი დაწესებულება ასაჩივრებდა გადაწყვეტილების ნორმატიულ მხარეს, რა მოლოდინი ჰქონდათ რომ საკითხის ავტორიზაციის საბჭოსთვის დაბრუნების შემდეგ განსხვავებული გადაწყვეტილება დადგებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მოსახლიშვილმა განმარტა, რომ პირველ რიგში დაწესებულება ასაჩივრებდა გადაწყვეტილების ფორმალურ კანონიერებას, რადგან მათთვის არ იყო ცხადი ავტორიზაციის საბჭოს დასაბუთება, თუ რა გაიზიარეს კონკრეტულად ექსპერტთა დასკვნიდან და რა - არა.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, თამარ გამსახურდიამ კითხვა დასვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელთან დაკავშირებით, როგორც სტუდენტების ასევე

პერსონალთან მიმართებით. მისი თქმით, სანიტარული კვანძები და პროექტორის სიმრავლე მეორეხარისხოვანი იყო და ყურადსაღები იყო ისეთი საკითხები როგორიცაა კვლევები, პროგრამების ნაწილი და სტატუსშეჩერებულ სტუდენტების საკითხი, რომლებშიც სტანდარტთან შეუსაბამობა დაუდგინდა დაწესებულებას.

დაწესებულების რექტორმა, სოფიო სუხიშვილმა, კითხვაზე საპასუხოდ განაცხადა, რომ საერთაშორისო მიმართულებები ნამდვილად არ იყო დაწესებულების ძლიერი მხარე, თუმცა მრავალი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით. მაგალითის სახით რექტორმა დაასახელა ერასმუსის პროგრამა [ERASMUS+], სადაც მონაწილეობდა დაწესებულება, თუმცა შექმნილი სიტუაციის გამო ვერ მოხერხდა სტუდენტების გაგზავნა. დაწესებულება ასევე გააჩნდა მემორანდუმი ლოძის უნივერსიტეტთან ინგლისურ სამედიცინო პროგრამაზე და გეგმაში იყო მისი ამოქმედება, როდესაც პროგრამა ახლიდან გაივლიდა აკრედიტაციას. დაწესებულების რექტორმა ასევე დასძინა, რომ თვეში ერთხელ ან ორჯერ მაინც ცდილობდნენ გაეგზავნათ საკუთარი ადმინისტრაციული პერსონალი სხვადასხვა მოკლევადიან პროგრამებზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მოსახლიშვილმა ასევე განაცხადა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა 9 უცხოელი სტუდენტი, რომლებიც ახალი გადმოსულები იყვნენ ევრორეგიონულ სასწავლო უნივერსიტეტში, შესაბამისად ,მათ ვერ შეძლეს ქართულ ენაზე საუბარი. ამ საკითხთან დაკავშირებით დავით აფრასიძემ განაცხადა, რომ თვითშეფასებაში მათ ეწერათ, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა 102 უცხოელი სტუდენტი, ხოლო ავტორიზაციის ვიზიტის დროს სტატუსი შეუჩერდა 93-ს და დარჩა 9 აქტიური სტუდენტი, უმეტესად აზერბაიჯანის მოქალაქეები. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით საკითხი პრობლემური იყო 2 მიზეზის გამო: პირველი - არ არსებობდა გასაუბრების ჩანაწერები, რომლითაც ჩაირიცხნენ უცხოელი სტუდენტები და მათი წარმოდგენა ვერ უზრუნველყო დაწესებულებამ, მეორე - ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებს, რომლებსაც უჭირდათ ქართულ ენაზე საუბარი, ხოლო მათი წერითი ნაშრომები იყო გამართული ქართულით შესრულებული.

სააპელაციო საბჭოს მოადგილემ, გრიგორ ტატიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას კვლევასთან დაკავშირებით. მან მაგალითად მოიშველია ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც რუსთაველის ფონდში შეტანილი ჰქონდა პროექტები ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სახელით. გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ აპირებდნენ მონაცემების დამუშავებას, რადგან მსგავსი კვლევები მოითხოვდა სპეციფიურ ლაბორატორიებს. საპასუხოდ დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მოსახლიშვილმა განაცხადა, რომ ეს საკითხი არ იყო პრობლემურად წარმოჩენილი ექსპერტების მხრიდან, ამ საკითხის განხილვა მხოლოდ სხდომაზე მოხდა, შესაბამისად თვითონ ამ კვლევის ავტორს შეეძლო ესაუბრა დეტალურად ამ საკითხზე.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, კომენტარი გააკეთა დავით აფრასიძემ, მან დაამატა, რომ ავტორიზაციის საბჭოს წევრი რიმა ბერიაშვილი განსაკუთრებით დაინტერესდა ამ საკითხით და კითხვებიც დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს კვლევისთვის საჭირო მონაცემის ბაზებთან და მათ დამუშავებასთან დაკავშირებით, რაც მკაფიოდ არ იყო ოქმში ასახული.

საუბარი გაგრძელდა მიკროსკოპებზე, რომელიც ექსპერტთა შეფასებით არ იყო გამართული, დაწესებულების წარმომადგენლებმა მოიტანეს დამადასტურებელი ბეჭდური სურათები, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულების კუთვნილებაში არსებული მიკროსკოპები. სააპელაციო საბჭოს წევრი ლაშა გოცირიძე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა მიკროსკოპების შენახვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიკროსკოპები დახურულად ინახებოდა, უბრალოდ სურათზე დემონსტრირების მიზნით იყო წარმოდგენილი გახსნილ მდგომარეობაში.

დავით აფრასიძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება არ მიუღია ფიქსირებული და პორტატული პროექტორების რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე სველი წერტილების კეთილმოწყობის გათვალისწინებით, არამედ გადაწყვეტილება დაეფუძნა ექსპერტთა მთლიან დასკვნას, სხდომაზე გამართულ მსჯელობას და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ შემაჯამებელი კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაწესებულების მხრიდან გაჟღერებული მაგალითებისა და არგუმენტების გათვალისწინებით, ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან მათი მხედველობაში მიღება, რომც მომხდარიყო, მაინც ვერ გააუმჯობესებდა საბოლოო სურათს. მისი განცხადებით დაწესებულების მხრიდან მოყვანილი მაგალითების უმრავლესობა აისახა სტანდარტის გაუმჯობესებაში, მაგალითად - საბიბლიოთეკო რესურსი, პერსონალის მართვა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა. ხოლო ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა სტატუსშეჩერებული და უცხოელი სტუდენტები - საბჭოს სხდომაზე არ იყო საკმარისი მსჯელობა, რადგან რეალურად ეს თემა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო და სახეზე იყო ის სავალალო ნიშნები, როგორიცაა: პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობების არ არსებობა, ქართული ენის არ ცოდნა, სტუდენტებისთვის მასიურად სტატუსის შეჩერება და ა.შ. ამ თემების უფრო ფართო გავრცობა უნდა მომხდარიყო დაწესებულების წარმომადგენელთა მხრიდან ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

ლაშა გოცირიძემ განმარტა რომ დაწესებულებისთვის შედეგის დადგომის მხრივ მთავარი გადამწყვეტი კომპონენტები წარმოადგენდა 2.2; 2.3; 3.2; 3.3; 6.1; 6.3; 7.4 კომპონენტებს. აღნიშნულ სტანდარტებზე და საკითხებზე არც ავტორიზაციის საბჭოს დროს და არც აპელაციის სხდომაზე დაწესებულებას აქცენტები არ გაუკეთებია. მსგავსმა პოზიციამ საფუძვლიანი წარმოდგენა შეუქმნა მას, როგორც სააპელაციო საბჭოს წევრს, რომ დაწესებულება განზრახ ეხებოდა მხოლოდ იმ საკითხებს, სადაც მეტნაკლებად ჰქონდა არგუმენტები, დანარჩენზე კი არ ისურვა პოზიციის დაფიქსირება, ან მხოლოდ გაკვრით მოხდა მათი წარდგენა საბჭოს წინაშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მოსახლიშვილმა საპასუხოდ განმარტა, რომ ორივე სხდომაზე გაჟღერებული არგუმენტები დაწესებულების მხრიდან უფრო მარტივად და ნათლად დასასაბუთებელი იყო საბჭოს წინაშე, ამიტომ მოხდა მათზე ყურადღების გამახვილება. მან ასევე დასძინა, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შენიშვნები განსაკუთრებულად სამწუხარო აღმოჩნდა მისთვის, რადგან თვითონ წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. მისი თქმით ექსპერტებმა არ დაასაბუთეს, თუ რატომ არ შეესაბამებოდა არსებული ვითარება სტანდარტს, პირიქით მათ

აღნიშნეს რომ ყველაფერში ზედმეტად ჩართული იყო ხარისხის უზრუნველყოფა. საბჭოს წევრმა ლაშა გოცირიძემ განმარტა, რომ სიტყვებს მნიშვნელობა ჰქონდათ და ციტირება მოიყვანა ექსპერტთა დასკვნიდან, სადაც მითითებული იყო რომ ხარისხის სამსახური მონაწილეობას იღებდა ხარისხის შექმნაში და არა - მის უზრუნველყოფაში. ციტირება მოიყვანა ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან მოსახლიშვილმა 2.2 ქვესტანდარტის გრაფაში ჩაწერილი ტექსტის შესავალი გააცნო საბჭოს და აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო რას გულისხმობდნენ ექსპერტები ხარისხის სამსახურისთვის შეუთავსებელ საქმიანობაში. ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახურში მუშაობდა სულ 2 ადამიანი და ისინი უზრუნველყოფდნენ მხოლოდ პროცესების მონიტორინგს. მისი განცხადებით საბჭომ არ იმსჯელა ამ საკითხებზე და არ გაითვალისწინა მათი აზრი. ამასთან დაკავშირებით დავით აფრასიძემ განმარტა, რომ ტექსტში დასაბუთებული იყო ის ზედმეტი ფუნქციები, რაზეც დასკვნაში ექსპერტები მიუთითებდნენ, ასევე მან განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიღებული ჰქონდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, სადაც და მათ არ წარმოადგინეს მყარი კონტრარგუმენტი 2.2 კომპონენტთან მიმართებით, ამის გასამყარებლად დავით აფრასიძემ მოიშველია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უფრო კარგად უნდა დაესაბუთებინა საკუთარი პოზიცია, რაც უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნიდა ავტორიზაციის საბჭოს. საპასუხოდ, ლევან მოსახლიშვილმა განაცადა, რომ ავტორიზაციის საბჭო იყო ვალდებული დაესაბუთებინა, თუ რატომ არ აძლევდა ავტორიზაციას დაწესებულებას. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა განმარტა, რომ თუკი დაწესებულებას მიაჩნდა, რომ პრობლემა იყო გადაწყვეტილების ფორმალურ მხარესთან და არა მატერიალურ ნაწილთან, მაშინ უმჯობესი იყო სასამართლოსთვის მიემართათ, რადგან არ არსებობდა ახალი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა პროცესის მატერიალურ მხარეზე.

კომენტარი ასევე გააკეთა სააპელაციო საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა, მისთვის ნამდვილად შთამბეჭდავი იყო დაწესებულების ყოფილი რექტორის სიტყვა, თუმცა რაც შეეხება დასკვნას და ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, ცხადი იყო რომ არასწორი ნაბიჯები გადაიდგა დაწესებულების მხრიდან. მისი განცხადებით, დაწესებულების რეგიონული ფუნქცია დაეკარგა მაშინ, როდესაც ფილიალი გაიხსნა ქალაქ თბილისში. ასევე, დავით კახნიაშვილმა დაამატა, რომ გადაწყვეტილების მიმღები ავტორიზაციის საბჭო იყო მაღალი კომპეტენციის, ესწრებოდა 21 კომპეტენტური ადამიანი, რომელთა ობიექტურობა და სამართლიანობა ეჭვს არ ბადებდა. დასკვნის გაცნობის შემდეგ, მისთვის ბუნდოვანი იყო მრავალი საკითხი, თუნდაც დაწესებულების მისია და მათი ნიშა, რომელიც არ იყო თვალსაჩინო და არ გამოარჩევდა დაწესებულებას. დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ განათებით და სველი წერტილებით მხოლოდ არ უმსჯელია ავტორიზაციის საბჭოს, თუმცა ესეც არ უნდა ყოფილიყო სალაპარაკო ექსპერტების მხრიდან. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, არ ჰქონდათ ფინანსური მდგრადობა რადგან შემოსავალის ძირითადი წყარო იყო სტუდენტთა გადასახადი. მისი თქმით, საკითხის უკან დაბრუნება არ შეცვლიდა შედეგს, რადგან სახეზე იყო რიგი პრობლემები, ავტორიზაციის ოთხი სტანდარტის დარღვევის ფაქტი და იმავე გადაწყვეტილებას მიიღებდა ავტორიზაციის საბჭოს ამ სიტუაციიდან გამომდინარე.

კომენტარი ასევე გააკეთა საბჭოს წევრმა ლაშა გოცირიძემ და აღნიშნა, რომ ოქმში ნათლად იყო წარმოდგენილი მსჯელობა, რომელიც განვითარდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც დაეფუძნა გადაწყვეტილება. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭომ მიიჩნია, რომ დასაბუთებული იყო მათი გადაწყვეტილება და საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება დაფუძნებული იყო წინარე მსჯელობას და დოკუმენტაციას. ლაშა გოცირიძემ დასძინა, რომ დაწესებულება მიიჩნევდა საბჭოს გადაწყვეტილებას დაუსაბუთებლად, ორივე მხრიდან მსგავს შეფასებებს სუბიექტური სარჩული ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი მჭედლიშვილმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ როდესაც ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმს გაეცნო, შეექმნა წარმოდგენა, რომ საბჭო კეთილგანწყობილი იყო დაწესებულების მიმართ, ასევე მან აღნიშნა რომ საბჭომ რამდენიმე სტანდარტის შეფასება გააუმჯობესა, რაც არ იყო დამახასიათებელი მოცემული საბჭოსთვის. ირაკლი მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს გათვითცნობიერებული ჰქონდა დაწესებულების სოციალური სტატუსი, რაც გამოიხატა მათ კეთილგანწყობაში, თუმცა თვალსაჩინო იყო რომ დაწესებულება ჰქონდა რიგი გამოწვევები და ამაზე თვალს ვერ დახუჭავდა საბჭო. ირაკლი მჭედლიშვილმა დაამატა, რომ მიმდინარე სხდომაზეც დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო მყარი არგუმენტების წარდგენა, რომლებიც გაამყარებდა მათ პოზიციას, ასევე არ მოუყვანიათ რაიმე ახალი არგუმენტი თუ მტკიცებულება, რომელიც ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლის გარანტი თუ საფუძველი გახდებოდა.

საპასუხოდ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამტკიცებული სტანდარტების კრიტერიუმები უნდა ყოფილიყო ნათლად ჩამოთვლილი.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ავტორიზაციის საბჭოს არ გააჩნდა არანაირი მოტივი, რომ ყოფილიყო მიკერძოებული, პირიქით 3 საათზე მეტხანს მიმდინარეობდა მსჯელობა, სადაც დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობა შეხებოდა და გაეჟღერებინა მათთვის მნიშვნელოვანი ყველა დეტალი თუ არგუმენტაცია, რაც ასევე ფიქსირდებოდა ოქმშიც. დავით აფრასიძეს თქმით, მათ ჩაბარდათ ექსპერტთა დასკვნა, სადაც 5 სტანდარტი 7 - დან იყო შეუსაბამო და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დასკვნა იყო საკმაოდ ვრცელი და გაბნეული, მისი სრულფასოვანი შესწავლა ქმნიდა ზოგად სურათს და ხაზს უსვამდა დაწესებულებაში არსებულ სისტემურ პრობლემებსა თუ გამოწვევებს. გარდა ამისა დავით აფრასიძემ დასძინა, რომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას საერთაშორისო ექსპერტმა თავი მოუყარა ზოგად შეფასებას და კონკრეტულად განიხილა კრიტიკული საკითხები, რაც ასევე ოქმშიც იყო აღწერილი. მისი თქმით, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო ექსპერტთა არგუმენტების გაბათილება. შესაბამისად, გადაწყვეტილებაც დაფუძნებული იყო ზეპირ მსჯელობასა და საქმისწარმოების დოკუმენტებზე.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 19:50 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 20:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა განაცხადა, რომ საბჭო იყო ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებისას. საბჭომ იმსჯელა მოცემულ საქმეზე, გაითვალისწინა რა წარმოების მასალები, სააპელაციო საჩივარი, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე გამართული

ნ. ოკრიბ

ზეპირი მსჯელობა, მიიჩნია რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იყო მიზანშეწონილი და კანონიერი. სააპელაციო საბჭომ აღნიშნა, რომ სახეზე იყო რიგი გამოკვეთილი პრობლემები, რომელთა იგნორირება არ შეეძლო არც ავტორიზაციის და არც აპელაციის საბჭოებს, კერძოდ, დაწესებულება ავტორიზაციის 4 სტანდარტთან (მე-2 სტანდარტი, მე-3 სტანდარტი, მე-6 სტანდარტი, მე-7 სტანდარტი) მიმართებით ფასდებოდა, როგორც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სხვა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ ჰქონდა.

კომენტარი ასევე გააკეთა საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა და განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნისა და ოქმის მიხედვით, თვალსაჩინო იყო ის პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც იდგა დაწესებულება, რომელსაც ასევე დაეყრდნო ავტორიზაციის საბჭოც. მან აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეიძლებოდა დაწესებულებას ეზრუნა იმ რეკომენდაციების გამოსწორება და ამის შემდგომ, ავტორიზაციის მინიჭებაზე ხელახლა წარედგინათ განაცხადი 1 წლის შემდეგ.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №78-ე გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას ,,შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №78-ე გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 20:15 საათზე.

თავმჯდომარე:

ნინო ოკრიბელაშვილი

გრიგორ ტატიშვილი

მდივანი:
თამარ გამსახურდია